2024 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს "სალო" (ს/კ 430803687)

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული
შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
7. ძირითადი საშუალებები
8. სავაჭრო ვალდებულებები
9. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
10. გადასახადები
11. ფინანსური ვალდებულებები
12. კაპიტალი
13. ამონაგების აღიარება
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
15. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან
16. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	25 875	185,994	239,803
სავაჭრო მოთხოვნები	1 250 530	478,101	295,412
გადახდილი ავანსები	22 407	22,407	42,439
მარაგები	747 315	573,010	373,802
მზა პროდუქცია	713 771	521,419	276,517
სხვა	33 544	51,591	97,285
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	3 746	3,185	3,065
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	1 350	1,350	230
ძირითადი საშუალებები	259 011	201,474	156,438
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	2 310 234	1,465,521	1,111,189
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	18 131	2,482	5,226
სავაჭრო ვალდებულებები	1 464 926	575,280	171,896
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6 238	34,043	7,491
საგადასახადო ვალდებულებები	25 176	78,640	53,119
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	351 162	460,305	383,293
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	71 494	-	-
სულ ვალდებულებები	1 937 127	1,150,750	621,025
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-

გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	373 107	314,771	490,164
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	373 107	314,771	490,164
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 310 234	1,465,521	1,111,189

დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "სალო"-ს სახელით **2025** წლის **24** სექტემბერს

საქმიანობის შედეგები	საანგარიშგებო პერიოდი **(2024)**	წინა საანგარიშგებო პერიოდი **(2023)**
ნეტო ამონაგები	7 027 138	3 888 819
საქონლის გაყიდვიდან	6 991 767	3 888 819
მომსახურების გაწევიდან	3 432	
სხვა	31 939	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	- 5 103 367-	- 2 661 325
საწყისი მარაგები	–	-
მარაგების შესყიდვა	–	-
გადამუშავების დანახარჯები	–	-
საბოლოო მარაგები	–	-
საერთო მოგება	1 923 771	1 227 494
დასაქმებულთა ანაზღაურება	(704 135)	(463 895)
ცვეთა და ამორტიზაცია	(38 141)	(21 183)
იჯარის ხარჯი	(92 805)	(54 791)
საპროცენტო ხარჯი	(35 069)	(27 879)
ჯარიმები/საურავები	(5 034)	(5 264)
სარეკლამო ხარჯები	(309 695)	(72 280)
საკომუნიკაციო/კომუნალური ხარჯები	(8 474)	(6 513)
დაზღვევა და სოც. დანარიცხები	(13 903)	(8 638)
მიწოდების ხარჯი	(188 745)	(112 243)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(13 969)	(8 493)
სარემონტო ხარჯები	(61 572)	(101 001)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(21 924)	(2 711)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(45 254)	(29 780)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1 538 720)	(914 671)
საოპერაციო მოგება	385 051	312 823
გაუფასურების **(**ხარჯი**)/** რევერსირება**:**	-	-
ფინანსური აქტივები	-	-

სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(78 612)	(27 071)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(16 314)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**290 125**	**285 752**
მოგების გადასახადი	(34 947)	(71 672)
მოგება/(ზარალი)	**255 178**	**214 080**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**255 178**	**214 080**
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	314 771	490 164
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(196 842)	(389 473)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**373 107**	**314 771**

დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "სალო"-ს სახელით **2025** წლის **24** სექტემბერს გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "სალო" (შემდგომში „კომპანია") არის 2019 წლის 4 იანვარს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თეთრიწყარო, ივ. ჯავახიშვილის ქ., N59.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარეცხი და საწმენდი საშუალებების იმპორტი და საბითუმო და საცალო რეალიზაცია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ერთპიროვნული მფლობელი 100% და დამფუძნებელი გიორგი ბურდული. (22001010077, საქართველო). კომპანიის დირექტორები არიან გიორგი ბურდული და ნინო ჩოხელი-ბურდული.

2. მომზადების საფუძველი (ა) წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანიის მსს ფასს-თან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და შეესაბამება 35-ე განყოფილებას მსს ფასს-ზე გადასვლის პირველადი ადაპტაციის მოთხოვნებს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი

ღირებულების კონვენციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 1 იანვარი. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს გადასვლის დღემდე არსებულ შესადარის ინფორმაციას.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 2019 წლის 15 მაისის სარეკომენდაციო მითითების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრული ნაკრების მომზადებისას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

(გ) (გაგრძელება):

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

(დ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL”), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში <u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

	2024	**2023**	**2022**
ნაღდი ფული სალაროში	18 102	167,633	223,839
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4 007	18,321	15,950
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3 766	40	14
სულ	25 875	185,994	239,803

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ყოველი სანგარიშო პერიოდის პოლოს ხდება შედარება როგორც დებიტორებთან და ფორმდება შედარების აქტები. <u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

	2024	**2023**	**2022**
სავაჭრო მოთხოვნები	1 250 530	478,101	295,412
სულ	1 250 530	478,101	295,412

5. გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს და ასევე ბიუჯეტში გადახდი ავანსებს.

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

	2024	**2023**	**2022**
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	22 407	22,407	42,439
სულ	22 407	22,407	42,439

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სხვა დამატებით ხარჯებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.
<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

	2024	**2023**	**2022**
ნედლეული და მასალები	31 835	51,591	97,285
მზა პროდუქცია	713 771	521,419	276,517
სხვა მარაგი	1 709	3,185	3,065
სულ	747 315	576,195	376,867

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. კომპანიის სახელზე არსებული მიწა წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომელზეც დამაგრებული შენობა-ნაგებობები. დაუმთავრებელ მშენებლობას არ ერიცხება ცვეთა.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
• სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
• ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	10 წელი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

8. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

9. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

10. გადასახადები

<u>მოგების გადასახადი</u>

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.
ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

<u>დღგ</u>
სსკ-ის 168-ე მუხლის თანახმად კომპანიის საქმიანობის სფერო იბეგრება დღგ-ს გადასახადით ჩათვლის უფლებით, რაც გულისხმობს, რომ პროდუქციის რეალიზაცია იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით და ამ საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე ხორციელდება დღგ-ს ჩათვლა.

11. ფინანსური ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი. კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

13. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.
შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

	2024	2023
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(45 254)	(29 780)
სულ	**(45 254)**	**(29 780)**

15. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. <u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

	2024	2023
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	-	-
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(78 612)	(27 071)
სულ	(78 612)	**(27 071)**

16. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

<u>აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.</u>

<u>ანგარიშგება შედგება 12 გვერდისაგან.</u>

კომპანიის დირექტორი:_____/გიორგი ბურდული/